USAID | GEORGIA — EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

# პრესრელიზი

18.09.2014

## სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი საქართველოში განათლების სისტემის დაფინანსების პოლიტიკას აფასებს

**18 სექტემბერს 13:00 საათზე, სასტუმრო "ამბასადორში"** (დიდ საკონფერენციო დარბაზში, მისამართი: თბილისი, შავთელის ქ. 13) სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR) პროექტის - **„განათლების დაფინანსების სისტემა და თანასწორობა საქართველოში“** ანგარიშისა და შედეგების პრეზენტაციას გამართავს.

პროექტი ეხება განათლების სისტემაში სკოლების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ეფექტურობის კვლევას და ანალიზს სოციალური თანასწორობის კონტექსტში.

კვლევა განხორციელდა USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) - ფარგლებში.

ღონისძიების მიზანია პოლიტიკის განხორციელების პროცესში ჩართულ ადამიანებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს გააცნოს სამოქმედო პოლიტიკასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, რომლებიც CCIIR - მა კვლევის ფარგლებში შეისწავლა და ის რეკომენდაციები, რომელიც კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა.

პრეზენტაციას დაესწრებიან: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები და სხვები.

საკონტაქტო პირი:
ქეთევან ჯაჭვაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

CCIIR
k.jachvadze@cciir.ge 595 511050